დოკუმენტი დამტკიცებულია

სტუდენტური თვითმმართველობის

საერთო კრების 2021 წლის 8 აპრილს N1

გადაწყვეტილებით

ცვლილებები შეტანილია

სტუდენტური თვითმმართველობის

საბჭოს 2023 წლის 29 აპრილის N 5

გადაწყვეტილებით.

ცვლილებები შეტანილია

სტუდენტური თვითმმართველობის

საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის

გადაწყვეტილებით

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

ქუთაისი, 2021 წელი

შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის

სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

მუხლის 1. ზოგადი დებულებანი

1. ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) არის უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა დამოუკიდებელი, წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების, შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტების თვითმმართველობის დისტანციური ფორმით არჩევნების ჩატარების წესისა და წინმდებარე დებულების ფარგლებში.
2. უნივერსიტეტის სტუდენტებს, უფლება აქვთ თანასწორი და დამოუკიდებელი არჩევნების საფუძველზე ჩამოაყალიბონ სტუდენტური თვითმმართველობა.
3. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია. დაუშვებელია მის საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. სტუდენტური თვითმმართველობა თავის საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის შიგნით და მის გარეთ განათლების, სპორტის, კულტურის მიმართულებით.

მუხლი 2. დებულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. სტუდენტი - პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და მაღლესი საგანმანეთლებლო დაწესებულების დებულებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს შპს ევროპის ცენტრალური უნივერისტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის ან ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.
2. უნივერსიტეტი - შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი,;
3. სტუდენტური თვითმმართველობა - შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;
4. ფაკულტეტი - ევროპის ცენტრალური უნივერისტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული;
5. თვითმმართველობის პრეზიდენტი - სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი;
6. ვიცე-პრეზიდენტი - პრეზიდენტის დამხმარე/შემცვლელი პირი;
7. თვითმმართველობის საბჭო - თვითმმართველობის წევრებისგან შემდგარი კოლეგიური ორგანო.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და ამოცანები

1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

ა) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და ინტერესები, როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ასევე მის გარეთ;

ბ) დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველჰყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ყველა საჭირო ინფორმაციით;

ე) სტუდენტთა პროფესიული მომზადების დონისა და შემოქმედებითი აქტიურობის განვითარება;

ვ) სტუდენტური ცხოვრების ეფექტურად დაგეგმვა-გამრავალფეროვნება;

ზ) სტუდენტების თვითრეალიზებისა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

თ) ევროლუს საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციისა და ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობა/უზრუნველჰყოფა.

2. სტუდენტური თვითმმართველობა თავის კომპეტენციის ფარგლებში:

ა) პერიოდულად ახდენს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით;

ბ) თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტთა ინტერესებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში;

გ) ევროპის ცენტრალური უნიოვერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოებს წარუდგენს კონკრეტულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის სრულყოფის მიზნით;

დ) ფაკულტეტის საბჭოში წარადგენს სტუდენტების კანდიდატურას;

ე) თანამშრომლობს საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ვ) გეგმავს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო ღონისძიებებს. აყალიბებს კლუბებს და ხელს უწყობს მათ საქმიანობას.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრია სტუდენტი, რომელიც შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტების თვითმმართველობის დისტანციური ფორმით არჩევნების ჩატარების წესისა და წინმდებარე დებულებით დადგენილი წესით არჩეული იქნება სტუდენტურ თვითმმართველობაში.
2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 (ორი) წლით, მაგრამ სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტისა და წევრთა წინაშე წარადგინოს მის მიერ გაკეთებული /განხორციელებული/ორგანიზებული პროექტები სასწავლო **სემესტრის** დასასრულს. თუ კი სტუდენტური თვითმმართველობის წევრების ხმათა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შესრულებული საქმე არ არის საკმარისი წევრს უწყდება წევრობის უფლებამოსილება.

2.1. წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა გადაწყვეტილებით უნდა გამოცხადდეს ღია კონკურსი თვითმმართველობის წევრობის ვაკანტურ ადგილებზე. სტუდენტური თვითმმართველობის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად საჭიროა კანდიდატმა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი და ავტობიოგრაფია (CV).

3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება:
   ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
   ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, მათ შორის სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) ან აკადემიური ხარისხის მინიჭების შემთხვევაში;
   გ) უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევის გამო;
   დ) თვითმმართველობის საბჭოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით თუ წევრს აქვს 3 (სამი) არასაპატიო მიზეზით შეხვედრაზე არ გამოცხადება.
4. თვითმმართველობის შემადგენლობა თუ შემცირდა წევრთა რაოდენობის 30 პროცენტით, ინიშნება რიგგარეშე არჩევნები ვაკანტური ადგილების შევსების მიზნით და არევნებში გამარჯვებული კანდიდატი დაიკავებს და განახორციელებს გამოკლებული წევრის უფლებამოსილებას დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 4[1]. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი

სტუდენტური თვითმმართველობის წევრად აირჩევა შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამებიდან წარმომადგენელი ერთი სტუდენტი.

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:
   ა) თავად შეიმუშაოს ან მოინაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის, პროცესის ორგანიზების, დაწესებულების ადმინისტრაციული საქმიანობის ან სტუდენტური სერვისების განვითარების მიზნით კონკრეტული წინადადება;
   ბ) მოახდინოს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;
   გ) წამოაყენოს წინადადება პრაქტიკული, კვლევითი, კულტურული ან სპორტული ღონისძიების ორგანიზებისა ან ორგანიზებული ღონისძიების მხარდაჭერის თაობაზე;
   დ) წამოაყენოს წინადადება საუნივერსიტეტო იმიჯის განვითარების თაობაზე.
2. თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:
   ა) კეთილსინდისიერად შესარულოს დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
   ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
   გ) ხელი შეუწყოს სტუდენტისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას;
   დ) დაესწროს თვითმმართველობის საბჭოს ან/და თვითმმართველობის პრეზიდენტის ინიციატივით ჩანიშნულ შეხვედრებს.

ე) გამოუცხადებლობის შემთხვევაში მინიმუმ 2 დღით ადრე სტუდენტური თვითმმართველობის ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნოს განხცადება თვითმმართველობის პრეზიდენტის სახელზე.

მუხლი 6. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები

სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და სხვა სპეციალური სახსრებიდან მიღებული შემოსავალი;
ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;
გ) მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება;
დ) სხვა კანონით ნებადართული შემოსავლები.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

1. თვითმმართველობის პრეზიდენტი:
   ა) წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის ინტერესებს სხვადასხვა უწყებებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
   ბ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე;
   გ) კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის მუშაობას;
   დ) იწვევს თვითმმართველობის საბჭოს;
   ე) ნიშნავს ვიცე-პრეზიდენტს;
2. პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება:
   ა) პირადი განცხადების საფუძველზე. პრეზიდენტი ვალდებულია გააკეთოს წინასწარი განცხადება გადადგომის თაობაზე წერილობით ფორმით არანაკლებ ორი კვირისა, თვითმმართველობის ოფიციალურ გვერდზე;
   ბ) მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში;
   გ) შეხვედრების რეგულარულად გაცდენის შემთხვევაში;
   დ) გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში;
   ე) თვითმმართველობის საბჭოს წევრების ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის (ხმათა 2/3) მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი

1. ა) სუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი არის ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც არჩეულია თვითმმართველობის წევრად შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტების თვითმმართველობის დისტანციური ფორმითარჩევნების ჩატარების წესის შესაბამისად;
   ბ) სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე წევრი ინიშნება თვითმმართველობის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით;

2. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობები:
   ა) თვითმმართველობის პრეზიდენტის არ ყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარეობს თვითმმართველობის საბჭოს სხდომებს;
   ბ) თვალყურს ადევნებს და უზრუნველჰყოფს თვითმმართველობის საბჭოს სხდომების გეგმიურად ჩატარებას;
3. თვითმმართველობის პრეზიდენტის წინამდებარე დოკუმენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში, ვიცე-პრეზიდენტი იკავებს ვაკანტურ ადგილს პრეზიდენტობის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო

1. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო არის კოლეგიური, წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ამზადებს/განიხილავს კონკრეტულ ინიციატივებს, პროექტებს, ადგენს სტუდენტური თვითმმართველობის სამოქმედო გეგმას;
2. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო შედგება შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტების თვითმმართველობის დისტანციური ფორმით არჩევნების ჩატარების წესის მიხედვით არჩეული თვითმმართველობის წევრებისაგან.
3. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს გადაწყვეტილება გამოაქვს კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით (50+1 პროცენტი).

მუხლი 10. თვითმმართველობის საბჭოს მდივანი

1. თვითმმართველობის საბჭოს ორგანიზაციულ მხარდაჭერას უზრუნველჰყოფს საბჭოს მდივანი;
2. თვითმმართველობის საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან, თვითმმართველობის წევრების პირველივე შეკრებაზე.
3. თვითმმართველობის საბჭოს წევრთა შეხვედრების ორგანიზების, საბჭოს ჩატარების თარიღის და სხვა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას წევრებს საბჭოს მდივანია აწვდის.

3.1. მდივანი ვალდებულია აწარმოოს დასწრების უწყისი, აწარმოოს შეხვედრებზე არ გამოცხადებული პირთაგან შემოსული განცხადებების უწყისი.

4. თვითმმართველობის საბჭოს წევრთა შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს პრეზიდენტი, მისი არყოფნის შემთხვევაში - საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი- ვიცე-პრეზიდენტი და საბჭოს მდივანი;
5. მდივანის არ ყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ასრულებს თვითმმართველობის წევრთა მიერ ხმათა უმრავლესობით არჩეული ერთ-ერთი თვითმმართველობის საბჭოს წევრი.

6. თვითმმართველობის მდივნის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;
   გ) შეხვედრების რეგულარულად გაცდენა;
   დ) გარდაცვალება, ან გარდაცვლილად გამოცხადება;
   ე) თვითმმართველობის საბჭოს წევრების ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (ხმათა 2/3) მიღებული გადაწყვეტილება.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში წევრთა შემადგენლობიდან დადგენილი წესის შესაბამისად აირჩევა ახალი საბჭოს მდივანი.

მუხლი 10[1]. სტუდენტური სხდომების ჰიბრიდული ფორმატი

1. სტუდენტური თვითმმართველობის სხდომები შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ფიზიკურ სივრცეში, ასევე დისტანციურად ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ან ჰიბრიდულად (ფიზიკურ და ონლაინ ფორმატში ერთდროულად).
2. სხდომის ფორმატი განისაზღვრება თვითმმართველობის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის ინიციატივით და შეთანხმებით საბჭოს წევრებთან, სხდომის თარიღამდე არანაკლებ 48 საათით ადრე.
3. სხდომის ჰიბრიდული ფორმატის არჩევისას უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა წევრის თანაბარი ხელმისაწვდომობა, ტექნიკური მხარდაჭერა და მიკროფონ/ვიდეოკავშირის საშუალება.
4. ონლაინ დასწრება სხდომაზე ითვლება სრულფასოვან მონაწილეობად, თუ წევრი წინასწარ აცნობებს საბჭოს მდივანს დისტანციური ჩართვის აუცილებლობის შესახებ და იყენებს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ოფიციალურ პლატფორმას (მაგალითად: Zoom, Google Meet და სხვა).
5. ჰიბრიდული სხდომის მიმდინარეობისას უნდა ხდებოდეს დასწრების აღრიცხვა როგორც ფიზიკურად, ასევე ონლაინ მონაწილეებისთვის.
6. მნიშვნელოვანი საკითხების (გადაწყვეტილების მიღება, ხმის მიცემა, ვაკანტური ადგილების შევსება და სხვა) განხილვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ონლაინ მონაწილეებისთვის ხმის მიცემის საშუალება, იმავე წესებით, რაც მოქმედებს ფიზიკურად დასწრებულებისთვის.
7. ტექნიკური შეფერხების ან სხდომის მიმართ წევრთა მხრიდან პროტესტის შემთხვევაში, სხდომის გადადების გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი, საბჭოს წევრების უმრავლესობის თანხმობით.

მუხლი 11. თვითმმართველობასთან არსებული სტუდენტური კლუბი/კლუბები

1. სტუდენტურ თვითმმართველობასთან არსებულ კლუბებს ხელმძღვანელობენ თითოეული კლუბის კოორდინატორი.
2. უნივერსიტეტის სტუდენტებს უფლება აქვთ ჩამოაყალიბონ სხვადასხვა პროფილისა და მიმართულების მქონე კლუბები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრთან და სტუდენტურ თვითმმართველობასთან შეთანხმებით.
3. კლუბის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა:

ა) სულ მცირე 3 (სამი) დაინტერესებული სტუდენტი ან/და კურსდამთავრებული;
ბ) დეტალურად გაწერილი ხარჯთაღრიცხვა (საჭირო ნივთებისა და რესურსის შესახებ);
გ) დეტალურად გაწერილი სამოქმედო გეგმა;
დ) კლუბის სამუშაო დებულება.

4. კლუბში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის სტატუსის მქონე პირს.

მუხლი 12. გარდამავალი დებულება

ქვეყანაში არსებული პანდემიური (COVID-19) სიტუაციის გათვალისწინებით, სტუდენტურმა თვითმმართველობამ შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად შეიმუშავა „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტების თვითმმართველობის დისტანციური ფორმით არჩევნების ჩატარების წესი“.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ცვლილებას ამტკიცებს მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება, ხოლო ყოველი შემდგომ ცვლილებას ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო;
2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა 2021 წლის არჩევნებამდე სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს უფლებამოსილებას ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება.
3. საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხელმოწერით ადასტურებს თვითმმართველობის პრეზიდენტი და მდივანი.
4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.